Показуха



ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ДЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოდის მე-17 წელი.

№ 59 (1695) ○ სამშაბათი, 16 მაისი, 1961 წ. ○ ფასი 2 კაპ.

ამხანაგ ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის გულითადი გაცილება თბილისის ვოგზალში

დიდი გულითადობით გააცილეს თბილისელებმა 14 მაისს საღამოს, ყველაზე ძვირფასი და სასურველი სტუმარი — **ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი.** ისევე როგორც ჩამოსვლის დღეს, ახლაც ათასობით მშრომელმა აავსო პროუექტორის შუქით გაკაშკაშებული უზარმაზარი ვოგზლის მოედანი. აქ შეიკრიბნენ სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა მუშაკები, პარტიულ, საბჭოთა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

ნ. ს. ხრუშჩოვის გასაცილებლად მოვიდნენ ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ს. ძოწენიძე, პ. ვ. კოვანოვი, გ. ი. ქადაგიძე, გ. ნ. ჯიბლაძე, ფ. დ. დუმბაძე, მ. ი. კუჭავა, კ. ნ. გალიცკი, ა. ნ. ინაური, მ. მ. ლელაშვილი, გ. ა. გეგეშიძე, გ. ი. ჩოგოვაძე, ი. გ. რთველიაშვილი, ე. ა. შევარდნაძე, მოკავშირე რესპუბლიკების დელეგაციათა მეთაურები.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მოკლე სიტყვით მიმართა შეკრებილთ. მან გულითადი მადლობა გადაუხადა თბილისელებს და მათი სახით საქართველოს ყველა მშრომელს მხურვალე მიღებისა და სტუმართმოყვარეობისათვის, სულითა და გულით უსურვა ქართველ ხალხს ახალი წარმატებანი შრომასა და ცხოვრებაში, რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის ახალი აყვავებისათვის ბრძოლაში.

ნ. ს. ხრუშჩოვმა რწმენა გამოთქვა, რომ საქართველოს კომუნისტური პარტია, საბჭოთა საქართველოს მშრომელები ყოველთვის იქნებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საიმედო დასაყრდენი ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიდებული გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში გაისმა იმის პასუხად, როცა ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვმა დღეგრძელობა უსურვა კომუნიზმის მშენებელ ქართველ ხალხს, ჩვენი დიდი სამშობლოს ხალხებს, მათს ურღვევ, ძმურ მეგობრობას, სახელოვან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელიც მიუძღვის ჩვენს ხალხს ლენინის გზით. გაისმა შეძახილები: „დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!“, „გაუმარჯოს ჩვენი პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!“, „ნახვამდის!“, „გზა მშვიდობისა, ძვირფასო ნიკიტა სერგის ძე!“.

საღამოს 10 საათზე სპეციალური მატარებელი დასავლეთ საქართველოში გაემართა. ნ. ს. ხრუშჩოვთან ერთად გაემგზავრნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ს. ძოწენიძე.

* * *

შაბათს, „ბურევესტნიკის“ სტადიონზე გაიმართა დიდი სპორტული სანახაობა.

სურათზე: „ხრუშჩოვი, ეს მშვიდობაა“ დროშებით გამოსახეს სპორტსმენებმა.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

პირველი ადგილი საბჭოთა ჩოგბურთელებს

ლატვიის რესპუბლიკის დედაქალაქის სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია საერთაშორისო ტურნირმა ჩოგბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ სსრ კავშირის, გდრ-ს, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენები.

შეჯიბრების ნახევარფინალში ბრძოლის უფლება მოიპოვეს: ქალთა შორის ი. რიაზანოვამ (თბილისი), მოსკოველებმა ა. დმიტრიევამ, ვ. ფილიპოვამ და ჩეხმა ა. პურკოვამ, ვაჟთა შორის — საბჭოთა სპორტსმენებმა ს. პოტანინმა, თ. ლეიუსმა, ს. ლიხაჩოვმა და ჩეხმა პ. შტრობლმა.

ქალთა შორის ფინალში გასვლისათვის ერთმანეთს შეხვდნენ ა. დმიტრიევა-ა. პურკოვა და ვ. ფილიპოვა-ი. რიაზანოვა. ფინალში გავიღნენ ა. დმიტრიევა და ვ. ფილიპოვა. ფინალური მატჩი მოიგო პირველმა — 6:0, 6:2. ვაჟთა შორის გადამწყვეტ შეხვედრაში ითამაშეს ა. პოტანინმა და თ. ლეიუსმა. თავიდანვე უპირატესობა თ. ლეიუსმა მოიპოვა და დაამარცხა ძლიერი მეტოქე — 7:5, 5:7, 6:4, 11:9.

ქალთა წყვილებში უძლიერესი იყო ი. რიაზანოვა-ვ. ფილიპოვა, ვაჟებში მ. მოზერი-ს. ლიხაჩოვი. შერეულ წყვილებში — ს. ლიხაჩოვი-ვ. კუზმენკო.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მოჭადრაკეებმა თამაშის მაღალ, საერთაშორისო კლასს მიაღწიეს. ეს შეეხება 16 წლის თვლაველ მოსწავლეს თ. ხუგაშვილსაც. თუმცა მას, უფროსი კოლეგების დასაწევად, ჯერ კიდევ დიდი შრომა სჭირდება.

ტურნირმა გულწრფელ მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა, იგრძნობოდა ერთსულოვნება საუცხო ნაწარმოებთა შექმნაში, რაც სრულებით არ უშლიდა ხელს სპორტული ბრძოლის სიმძაფრეს.

— ჩვენ დიდი კმაყოფილნი ვბრუნდებით სახლში, — განაცხადა ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონმა კ. ერეტოვამ, — გახარებულნი წარმატაცი მხარის, ხალხისა და მისი მოჭადრაკეების გაცნობით. თან მიგვყავდა შთამბეჭდავი მოგონებები.

თ. გიორგაძე

* * *

ტურნირის დასასრულს მოჭადრაკე ქალებმა გადაწყვიტეს სამახსოვრო სურათის გადაღება. ჩვენმა ბათუმელმა ფოტოკორესპონდენტმა ა. ტულუშმა მათ შეუსრულა ეს სურვილი. ეს სურათი, რომელსაც თქვენ აქ ხედავთ, ჩვენც გამოვიყენეთ.

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა დიდი გამარჯვება

ბათუმი. (ჩვენი სპეც. კორ.). 14 მაისს დილით, ზღვისპირა პარკის საზაფხულო თეატრის შენობაში გაიმართა დასკვნითი, XV ტური, კაკაბაძემ დაამარცხა გაფრინდაშვილი. კოზლოვსკაიამ მოუგო ლიბერტს, ზვორიკინამ — ლიტვინსკას, ხოლო ტოგონიძემ—იოვანოვიჩს. ნიკოლაუმ უხეშში შეცდომით დაკარგა ფიგურა და დანებდა ტიხომიროვას. ყაიმით დამთავრდა ერეტოვა-ხუგაშვილისა და შილიეასენოვას პარტიები.

საერთაშორისო ტურნირის ცხრილი საბოლოოდ ასე გამოიყურება: ნ. გაფრინდაშვილი — 11,5 ქულა, ა. ჩაიკოვსკაია — 10 ქულა, ე. კაკაბაძე, ვ. ტიხომიროვა, კ. ზვორიკინა — 9,5 ქულა თვითეულს, კ. ერეტოვა, მ. ტოგონიძე — 8,5 ქულა თვითეულს, ა. ნიკოლაუ — 7 ქულა, ვ. ასენოვა, თ. ხუგაშვილი, ვ. კოზლოვსკაია — 6 ქულა თვითეულს, კ. იოვანოვიჩი (იუგოსლავია) — 5,5 ქულა, ი. შილიე — (უნგრეთი), უ. ლიბერტე (გდრ) ა. ლიტვინსკა — 2,5 ქულა თვითეულს.

ქალთა მეორე საერთაშორისო ტურნირის შედეგები

საღამოს გაიმართა ტურნირის საზეიმო დახურვა, რომელზეც მონაწილეებს 20 სხვადასხვა ჯილდო გადაეცათ.

* * *

მისასალმებელია ნ. გაფრინდაშვილის ახალი წარმატება. მან ყველაზე მეტი, თერთმეტი გამარჯვება მოიპოვა. დაამარცხა ყველა უცხოელი მოჭადრაკე. ეს წარმატება მეტყველებს იმაზე, რომ იგი თავის სიტყვას იტყვის პრეტენდენტთა ტურნირში (შემოდგომაზე გაიმართება იუგოსლავიაში). თავის სპორტულ ბიოგრაფიაში ა. ჩაიკოვსკაიამ მოიპოვა თვალსაჩინო გამარჯვება. მან გამოავლინა კარგი პოზიციური თამაში, სიფხიზლე ტაქტიკური მუქარებისადმი და სატურნირო მებრძოლის საუკეთესო ჩვეულები. მან დამსახურებულად დაიკავა მეორე ადგილი და მოიპოვა სპორტის ოსტატის წოდება. ა. ჩაიკოვსკაია აჭარის საჭადრაკო ორგანიზაციის აღზრდილია, ხოლო უკანასკნელ წელს თბილისში სრულყოფს თამაშს მწვრთნელ ვ. ქარსელაძის ხელმძღვანელობით.

დიდია ავრეთვე ე. კაკაბაძის მიღწევა, რომელმაც მესამე ადგილი გაიყო. ქართველ მოჭადრაკეს კ. ერეტოვასთან რომ არ წაეგო, ერთპიროვნულად შეეძლო ყოფილიყო მესამე ადგილზე. ე. კაკაბაძემ გამოავლინა მომზიბლავი კომბინაციური თამაში. მისმა პარტიამ ლიბერტთან დაიმსახურა სპეციალური პრიზი. ე. კაკაბაძემ შეასრულა სპორტის ოსტატის მიღებისათვის საჭირო ნორმა.

სამახსოვრო თასი ჩინელ ალპინისტებს

ჩვენს ქვეყანაში ორი კვირის განმავლობაში სტუმრად იყვნენ მწვერვალ ჯომოლუნგმის დამპყრობი ჩინელი ალპინისტები. როგორც ცნობილია, ჩინელი სპორტსმენები ამას წინათ ესტუმრნენ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქს, სადაც შეხვდნენ ქართველ კოლეგებს. თბილისიდან ჩინელი ალპინისტები ჩავიდნენ მოსკოვში. აქ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალურმა საბჭომ, ალპინიზმის საკავშირო ფედერაციამ გულთბილი შეხვედრა მოუწყეს სტუმრებს და საბჭოთა და ჩინელი სპორტსმენების მეგობრობის ნიშნად გადასცეს სამახსოვრო თასი.



თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის ფიზკულტურელებმა ასეთი ზეიმით აღნიშნეს საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავი.

ფოტო ა. პაპაიანისა.

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲒᲔᲑᲐ-ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ

საბჭოთა კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის წესდების შესაბამისად თებერვალ-მარტში ჩატარდა საქართველოს სპორტკავშირის საარაიონო, საქალაქო და საოლქო საბჭოების ანგარიშგება-არჩევნები.

სულ გამართულ იქნა 3 საოლქო, 10 საქალაქო და 74 საარაიონო კონფერენცია. ფიზკულტურის კოლექტივებში კონფერენციებზე მონაწილეობისათვის არჩეულ იქნა 10.519 დელეგატი, მათ შორის 2.155 ქალი.

სპორტკავშირის საარაიონო, საქალაქო და საოლქო საბჭოებიხ შემადგენლობებში არჩეულია 2.807 ამხანაგი, მათ შორის 316 ქალი, ხოლო საერეზიო კომისიის შემადგენლობაში 342, მათ შორის — 65 ქალი. სპორტკავშირის საბჭოს თავმჯდომარეებად არჩეულ იქნა 19 ახალი მუშაკი. კონფერენციები მაღალ დონეზე ჩატარდა აფხაზეთსა და აჭარაში, თბილისში, ქუთაისში, ფოთში, გორში, რუსთავში, ჭიათურაში. აბაშის, გურჯაანის, დუშეთის, ზესტაფონის, ზუგდიდის, კასპის, ორჯონიკიძის, სამტრედიის, თელავის, ცხაკაიას, წყალტუბოს, ჩოხატაურისა და სხვა რაიონებში.

კონფერენციების მომზადება-ჩატარებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ადგილობრივი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები. არც ერთ რაიონში ადგილი არა ჰქონია კონფერენციების ჩაშლის ან არჩევნების ინსტრუქციის დარღვევის ფაქტებს.

ანგარიშგება-არჩევნების მაღალ დონეზე ჩატარების მიზნით საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე წინასწარ დამტკიცდა კონფერენციების ჩატარების გრაფიკი, ყველა რაიონზე და ქალაქზე მიმაგრებულ იქნენ პრეზიდიუმის წევრები, სპორტკავშირის ხელმძღვანელი მუშაკები და აქტივი. სპორტკავშირის ადგილობრივ საბჭოებს წინასწარ დაეგზავნათ სათანადო მეთოდური და სხვა სახელმძღვანელო მასალა. კონფერენციებზე მიღწევებთან ერთად აღინიშნა ის ნაკლოვანებანიც, რომლებიც ჯერ კიდევ გააჩნიათ თავიანთ მუშაობაში ფიზკულტურულ და სპორტულ ორგანიზაციებს. კამათში გამოსულმა დელეგატებმა მკაცრად გააკრიტიკეს სპორტკავშირის ადგილობრივი საბჭოების მუშაობა, აგრეთვე ილაპარაკეს იმის შესახებ, რომ ზოგიერთ სკოლაში, წარმოება-დაწესებულებაში, კოლმეურნეობასა და სხვა ორგანიზაციებში ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა ფიზკულტურულ - სპორტული მუშაობა, სავაჭრო ორგანიზაციები სპორტული ინვენტარით, ფორმითა და ლიტერატურით ცუდად ამარაგებენ რაიონულ ორგანიზაციებს და ა. შ.

დელეგატები განსაკუთრებით გულისწყრომასა და საყვედურს გამოთქვამდნენ რესპუბლიკის შემოქმედებითი ორგანიზაციების მიმართ იმის შესახებ, რომ ისინი ძალზე ნაკლები რაოდენობით ქმნიან ლიტერატურულ, მუსიკალურ, თეატრალურ და კინონაწარმოებებს ფიზიკური კულტურისა და სპორტის თემებზე.

კონფერენციებზე კრიტიკული შენიშვნები და წინადადებები იქნა აგრეთვე გამოთქმული საქართველოს სპორტკავშირისა და ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოების მუშაობის შესახებ.

კონფერენციებმა შეაჯამეს სპორტკავშირის ადგილობრივი საბჭოების ორი წლის მუშაობის შედეგები. ცხადია, ამ პერიოდში ბევრი გაკეთდა, მაგრამ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ამიტომ არ უნდა დავკმაყოფილდეთ მიღწეულით. მითუმეტეს მომდინარე შვიდწლედში ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების წინაშეც რთული და საპასუხისმგებლო ამოცანებია დასახული, რომელთა შესრულებაც ჩვენი ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების საპატიო ვალია.

შ. სუხიშვილი,

საქართველოს სპორტკავშირის საორგანიზაციო და კადრების განყოფილების გამგე.

ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲓᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამთავრდა თბილისის მასწავლებელთა მეორე საგანმანათლებლო სპარტაკიადა. შუკიბრუმში გაშრდიოდნენ ლენინის, სტალინის, ორჯონიკიძის, კალინინის, 26 კომისრის, ოქტომბრისა და სამგორის რაიონების კოლექტივები. პროგრამაში იყო მაგიდის ჩოგბურთი, სროლა, ჭადრაკი.

მოჭადრაკეთა ტურნირი დამთავრდა სტალინის რაიონის გუნდის გამარჯვებით. ამ რაიონის სპორტსმენები უძლიერესები იყვნენ სროლაშიც. მაგიდის ჩოგბურთში პირველ ადგილზე გამოვიდა ლენინის რაიონის კოლექტივი. საერთო ჩათვლაში უპირატესობა დარჩა სტალინის სახელობის რაიონის მასწავლებელთა კოლექტივს.

ი. ხაბეიშვილი

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲚᲘᲜᲓᲜᲔᲑᲘ ᲠᲔᲚᲘᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲤᲐᲚᲐᲕᲜᲔᲑᲘ

რუსთავის მეტალურგთა ფიზკულტურის სახლში ორ დღეს მიმდინარეობდა „განთიადის“ საქალაქო პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში.

გუნდური გამარჯვება მოიპოვა მეტალურგმშენის ტრესტის კოლექტივმა.

პირველი ადგილები წონითი კატეგორიების მიხედვით მოიპოვეს: ო. ნარიკაშვილმა, შ. ფრიდონიშვილმა, ო. მეტრეველმა, ა. შავლახაშვილმა, ა. მულაძემ და სხვ.

Უ. ᲤᲘᲚᲘᲞᲝᲕᲘ

თბილისის კოოპერაციულ ტექნიკუმში დანერგილია სპორტის რამდენიმე სახეობა, განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობენ ფრენბურთის, კალათბურთის, ველოსპორტის, მძლეოსნობის სექციები.

სურათებზე: მარჯვნივ — ველოსიპედისტები ნ. ოქროიძე და დ. ჭურდაძე ვარჯიშის წინ არემონტებენ ველოსიპედს, მარცხნივ — მძლეოსნები ვარჯიშობენ ამანათრბენში.

ᲡᲝᲮᲣᲛᲨᲘ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

სოხუმში საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან უკვე ჩამოვიდნენ ახალგაზრდა ტურისტები, ტურისტული ბაზები მთელი დატვირთვით მუშაობენ. წელს აქ მოელიან ჯგუფებს უცხოეთიდანაც. ბევრ საინტერესო ღონისძიებას გამართავენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები, რომლებიც ქვეითად ჩამოვლენ აფხაზეთში. სტუმრებს არც ადგილობრივი სპორტსმენები ჩამორჩებიან. ამ დღეებში ტურისტებმა ლაშქრობა მოაწყეს თოვლიან მთებზე—ჩაკმკუზბასა და ძირხეაზე.

სოხუმის საქალაქო სპორტკავშირთან შექმნილია ტურისტული სექცია, რომელსაც ხელმძღვანელობს ალპინისტი ავთანდილ წიქრიძე. სექციამ ფართოდ გაშალა მუშაობა ტურიზმის მასობრიობისათვის.

აფხაზეთში ტურისტული სეზონის გახსნასა და მის მომავალ პერსპექტივებს მიუძღვნა სპეციალური გადაცემა აფხაზეთის ასსრ რადიო კომიტეტის უკანასკნელ ცნობათა რედაქციამ. გადაცემაში მონაწილეობა მიიღეს სპორტსმენმა კორესპონდენტებმა, აგრეთვე სოხუმის ტურისტული ბაზის დირექტორის მოადგილემ ი. კალანდიამ, ტურისტთა სექციის თავმჯდომარემ ა. წიქრიძემ, საკვალიფიკაციო და სამარშრუტო კომისიის თავმჯდომარემ, გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატმა კ. მგელაძემ და სხვ.

ნ. მიქაშავიძე



ᲭᲘᲠᲧᲔᲣᲚ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲨᲘ

ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲚᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐ ᲐᲥᲕᲗ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ

წულუკიძის რაიონის წულუკიძის სახ. აბრეშუმის ძაფსადები ფაბრიკა ერთ-ერთი მოწინავეა რესპუბლიკაში როგორც საწარმოო გეგმების შესრულებაში, ასევე მასობრივ-ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობაში.

ფაბრიკაში სისტემატურად ეწყობა შიდასაკოლექტივო პირველობები და სპარტაკიადები. კერძოდ, გასულ წელს ჩატარდა ფაბრიკის პირველობა სპორტის 9 სახეობაში ორ ტურად, აგრეთვე საზაფხულო და საიუბილეო სპარტაკიადები. აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობდა 600-მდე მუშა-მოსამსახურე.

ეს ძირეული კოლექტივი აქტიურად მონაწილეობს საარაიონო ღონისძიებებში. რაიონის სპარტაკიადაზე, რომელიც სპორტის 7 სახეობაში მიმდინარეობდა, იგი მეორე ადგილზე გამოვიდა, ხოლო „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს მიერ ჩატარებულ ზონალურ სპარტაკიადაზე სამტრედიაში პირველი და მეორე ადგილები დაიკავა.

კოლექტივის წევრთა ზრდას ხელს უწყობს საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვა საამქროებში. ისეთ საამქროებში, სადაც საწარმოო ტანვარჯიშის ჩატარება შეუძლებელია, ტარდება სხვა გამაჯანსაღებელი ღონისძიებები: ტურისტული ლაშქრობები, ექსკურსიები, გასეირნებანი და სხვ.

ფაბრიკაში გაცხოველებით ემზადებიან ზაფხულის სპორტული სეზონის შესახვედრად. შედგენილია სპორტ-მასობრივ ღონისძიებათა კალენდარი, რომელშიც გათვალისწინებულია შიდასაკოლექტივო სპარტაკიადა სპორტის 7 სახეობაში, აგრეთვე შიდასაფაბრიკო პირველობები კალათბურთში, ფრენბურთში, ფეხბურთში, ველოსპორტში, მძლეოსნობაში, ტყვიით სროლაში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკსა და შაშში.

ა. კაპანაძე

◆

ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲗᲐ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ - კაგონშემკეთებელ ქარხანაში 1.228-ზე მეტი ფიზკულტურელია. უკანასკნელ ხანებში საზოგადოება „ლოკომოტივის“ წევრთა რაოდენობა 1.300-მდე გაიზარდა. გასული წელი ქარხნის ფიზკულტურელებისათვის, დიდ მიღწევათა წელი იყო. მათ საპრიზო ადგილები დაიკავეს კალათბურთში, ფრენბურთში, ჭიდაობაში, სიმძიმეთა აწევაში.

ქარხნის ამ უძველესი საწარმოს ფიზკულტურელებმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გადაწყვიტეს მოაწყონ სპარტაკიადა. სპარტაკიადა დაიწყო აპრილის პირველ ნახევარში და გაგრძელდა ათ მაისამდე. მისი უკეთ ჩატარების მიზნით შეიქმნა ორგკომიტეტი. პარტიულმა და საქარხნო კომიტეტებმაც განიხილეს საქარხნო სპარტაკიადის უკეთ ჩატარების საკითხი და დასახეს პრაქტიკული ღონისძიებები. სპარტაკიადა ჩატარდა შემდეგ სახეობებში — ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, ველოსპორტში, ჭადრაკში, მძლეოსნობაში.

ი. ბოლქვაძე

ლ ე ლ ო

მე-2 გვ. № 59 (1695)

დარჩა ერთი ეტაპი



ერევანი-ლენინაკანი რბოლას ეტრასის ის მონაკვეთია, რომელსაც სომხები კარგად იცნობენ. ისინი მოსამზადებელ წვრთნას აქ აწარმოებდნენ, ზეპირად იცოდნენ ყველა მოსახვევი და აღმართის სიგრძე. ამიტომ მათ წინასწარ ულოცავდნენ ეტაპის მოგებას.

სტარტი დაიწყო და მე-6 კილომეტრზე ერევნელი ოგანესიანი წინ გაიპრა, მას რამდენიმე აზერბაიჯანელი მრბოლელი წამოეწია და რბოლა ჩადგა მისთვის ჩვეულ კალაპოტში — გამოიკვეთა ძირითადი და ლიდერთა ჯგუფი. რბოლის მე-15 კილომეტრზე მოხდა მეტად სამწუხარო შემთხვევა — ავარია მოუხდა რბოლის ერთპიროვნულ ლიდერს ტ. ავაქიანს და ი. ჯამალიანს. უკანასკნელი ისე მაგრად დაეცა, რომ გამოაკლდა რბოლას, ხოლო ავაქიანი მანქანის გამოცვლის შემდეგ კვლავ ჩაება შეჯიბრებაში. მაგრამ ძვირფასი წუთები დაიკარგა. ამიტომ სომეხი ველოსიპედისტები იძულებული გახდნენ დახმარებოდნენ თავიანთ ლიდერს — უკან დაიხიეს (ოგანესიანმაც კი) და ჯგუფში მოაქციეს ავაქიანი. დაიწყო დიდი აღმართი, რომლის ბოლოს მოწყობილი იყო წყლის დასალევი პუნქტი. აქ ლიდერთა ჯგუფი ორად გაიყო და ბოლოს გამოჩნდა ფინიშიც. ძირითადად ბრძოლა გაიმართა თბილისელებს სიკორსკისა და ბირიუკოვს შორის. გაიმარჯვა ბირიუკოვმა.

მე-8 ეტაპის შემდეგ ასეთი მდგომარეობაა: 1. ტ. ავაქიანი (სომხეთი) — 30:15.27, 2. ვ. ფრანჩუკი (აზერბაიჯანი) 30:16.28, 3. ვ. სემერგეი (აზერბაიჯანი) — 30:17.25, 4. ვ. სიკორსკი (საქართველო) — 30:18.1. მე-6 ადგილზეა ა. თავაძე (საქართველო) — 30:28.52, შემდეგ მოდიან ე. ბირიუკოვი (საქართველო) — 30:31.49, რ. გუჟა (საქართველო) — 30:32.57.

რესპუბლიკებს შორის პირველ ადგილზეა აზერბაიჯანი, შემდეგ საქართველო, სომხეთი. სპორტსაზოგადოებებს შორის: 1. „კოლმეურნე“ (საქართველო), 2. „დინამო“ (საქართველო), 3. „საბჭოთა არმია“ (სომხეთი).

* * *



სურათზე: ველოსრბოლის ერთპიროვნული ლიდერი ტ. ავაქიანი ფინიშის შემდეგ.

პრეს-კონფერენცია მატჩ-რევანშის შემდეგ

სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მოეწყო ჭადრაკში მსოფლიო პირველობის მატჩ-რევანშის დამთავრებისადმი მიძღვნილი პრეს-კონფერენცია. ცენტრალური გაზეთებისა და ჟურნალების კორესპონდენტებმა რამდენიმე შეკითხვა მისცეს მსოფლიო ჩემპიონს ჭადრაკში მიხეილ ბოტვინიკს, რომელმაც მათ საინტერესო და ამომწურავი პასუხები გასცა.

შეკითხვაზე — ტალმა მატჩი წაგო იმის გამო, რომ ცუდად ითამაშა ენდშპილში—მსოფლიო ჩემპიონმა უარყოფითად უპასუხა. თუ მოჭადრაკე შავებით აგებს ბევრ პარტიას, ეს მოწმობს მის სადებიუტო მოუმზადებლობას. აღსანიშნავია, რომ ტალი საერთოდ სუსტად მოემზადა აღნიშნული მატჩ-რევანშისათვის, მაგრამ იგი უთუოდ ძალზე ნიჭიერი მოჭადრაკეა, თუმცა ამას ჩემი მტკიცება არ სჭირდება.

მე, ამ შეჯიბრებაში დავძლიე ერთი მეტად რთული ავადმყოფობა — ცაიტნოტი. ამაში დამეხმარა ფიზიკური მომზადება და პირველ რიგში ოსტატი ს. ფურმანი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩემს გამარჯვებაში. თუ რამდენი საწვრთნელი მატჩი ჩავატარე მასთან და რამდენში გავიმარჯვე და რამდენში დავმარცხდი, ეს „სამხედრო საიდუმლოებაა“. ერთი კი შემიძლია ვთქვა, შედეგებით ორივე კმაყოფილი ვართ.

მე მატჩ-რევანშში გამარჯვება ვიგრძენი XX პარტიის დამთავრების წინ, როცა გადადებული პარტიის [illegible] ეგონა, [illegible] ხოლო ჩემი [illegible] ფიგურიდან გამარჯვებას.

მ. ტალს რომ XX პარტია მოეგო, შეიძლება მატჩ-რევანშის ბედი სხვაგვარად გადაწყვეტილიყო. ამრიგად, ჩემის აზრით, მსოფლიო ჩემპიონობის საკითხი გადაწყდა XX პარტიაში. ამიტომ არის, რომ ამ პარტიას ვთვლი ერთ-ერთ საუკეთესოდ მთელ მატჩ-ტურნირში.

კითხვაზე თუ ვინ იქნება მ. ბოტვინიკის მეტოქე 1963 წელს, მსოფლიო ჩემპიონმა უპასუხა, რომ ამის კარგი შანსები აქვთ საბჭოთა გროსმაისტრებს, ამერიკელ რ. ფიშერს და იუგოსლაველ ს. გლიგორიჩს. მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნო, რომ მე ჯერ კიდევ არ გადამიწყვეტია კვლავ დავიცავ თუ არა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს.

ინგლისელთა დამარცხება

ინგლისელ ფეხბურთელთა ვიზიტი თბილისში დიდ სპორტულ მოვლენათა კატეგორიას მიეკუთვნება როგორც ჩვენი გუნდებისათვის, ისე ფეხბურთის მოყვარულთათვისაც. ჩვენს მეხსიერებაში ჯერ კიდევ ნათლადაა შემორჩენილი „ვესტ ბრომვიჩ ალბიონის“ უმაღლესი კლასის თამაში 1957 წელს, „შეფილდ უენსდეის“ შარშანდელი ძნელი მატჩი და დინამოელთა უაღრესად მარცხიანი მგზავრობა ბრიტანეთის კუნძულებზე თასის ფინალური მატჩის შემდეგ.

განვლილ კვირას ჩვენ ვიხილეთ ქ. ბირმინჰამის გუნდი „ასტონ ვილა“ მატჩში თბილისის დინამოელებთან. ამ გუნდის შესახებ პრესაში მრავალი ითქვა და დაიწერა, ჩამოთვლილი იყო მისი მრავალრიცხოვანი წარმატებები ინგლისის ჩემპიონატებსა და თასის გათამაშებებში, მისი დიდი როლი ბრიტანული ფეხბურთის ხანგრძლივ ისტორიაში, ცალკეულ მოთამაშეთა ღირსებები და ა. შ.

მართლაც, „ასტონ ვილას“ დიდი ავტორიტეტი აქვს საერთაშორისო საფეხბურთო სარბიელზე და ინგლისური პროფესიული ფეხბურთის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენლად ითვლება.

და აი ეს გუნდი დაამარცხა თბილისის „დინამომ“, რომელიც ამჟამად (ეს არავისთვის არაა დასამალი) ცუდ სპორტულ ფორმაში იმყოფება და თავის შესაძლებლობებზე გაცილებით დაბალ დონეზე თამაშობს.

„ასტონ ვილას“ მწვრთნელი ჯო მერსერი ჯერ კიდევ მატჩის დაწყებამდე ჩიოდა, რომ მის გუნდს აკლია ორი წამყვანი მოთამაშე — მარცხენა გარემარბი მაკპარლანდი (ჩრ. ირლანდიის ნაკრების მოთამაშე) და ცენტრალური ფორვარდი ჰიტჩენსი (ინგლისის ეროვნული გუნდის წევრი), მაგრამ თუ დანაკლისზე მიდგა ლაპარაკი, თბილისის „დინამო“ გაცილებით უარეს მდგომარეობაში იმყოფებოდა, ვინაიდან მას აკლდა ძირითადი შემადგენლობის 4-5 მოთამაშე, მათ შორის სსრ კავშირის პირველი ნაკრების წევრები მესხი და ჩოხელი. ასე, რომ ჯო მერსერი ამ მხრივ უფრო „პრივილეგირებულ“ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ვიდრე „დინამოს“ ხელმძღვანელობა.

„ასტონ ვილას“ შესახებ უცხოეთის მიმომხილველები ხშირად წერენ, რომ ესაა ტიპიური ინგლისური სკოლის წარმომადგენელი გუნდი, რომელიც თამაშობს მკვეთრად გამოხატული ძალისმიერი სტილით და ათლეტური ილეთების ხშირი გამოყენებით. ასეთი სტილით თამაში ჩვენ ერთხელ უკვე ვნახეთ შარშან „შეფილდ უენსდეის“ სახით და ამ მატჩის შემდეგ ორი ძირითადი მოთამაშე დინამოელებს რამდენიმე თვით გამოაკლდა. კიდევ უფრო „ძალისმიერი“ მანერით თამაშობდნენ გუშინწინ ბირმინჰამის ფეხბურთელები.

ჩვენ წუთითაც არ ვუშვებთ იმ აზრს, თითქოს ინგლისელები განზრახ უხეშობდნენ ან არასპორტულად იქცეოდნენ. პირიქით, ყველი შეჯახების შემდეგ ისინი მეგობრულად ეხვევოდნენ დინამოელებს და მატჩის შემდეგაც მათთან ერთად ხელიხელ გადახვეულნი გავიდნენ მინდვრიდან, მაგრამ ფაქტია ერთი რამ: თუ მსაჯი სასტვენით აღნიშნავს მოთამაშის მოქმედებას, ესაა უკვე არა ძალისმიერი თამაში, არამედ უხეშობა, რომელიც ისჯება საჯარიმო დარტყმით. ასეთი სასტვენი კი თითქმის განუწყვეტლივ ისმოდა ბაქოელი მსაჯის ი. გრიგორიევის მხრივ, რომელმაც კარგად გაართვა თავი ამ ძნელ, დაძაბულ მატჩს.

თბილისის „დინამო“ თავისი შესუსტებული, თითქმის სახელდახელოდ შეკოწიწებული შემადგენლობითაც კი საგრძნობლად სჯობდა მოწინააღმდეგეს. კარგად ჩაატარა მატჩი დაცვამ, სადაც განსაკუთრებით გამოირჩეოდა ცენტრალური მცველი თორაძე. შეიძლება ითქვას, რომ მან ინგლისელებს სანიმუშო გაკვეთილი მისცა იმისა, თუ როგორ უნდა ნამდვილი ძალისმიერი თამაში. იგი მთელი თამაშის განმავლობაში მიმართავდა ათლეტურ ბრძოლას ისე, რომ თითქმის არც ერთხელ არ დაუშვია უხეში ილეთი და არ მიუღია საჯარიმო.

ჩვენი გუნდის ნახევარმცველები კარგად იბრძოდნენ დაცვითი ფუნქციების შესრულებისას, მაგრამ გაცილებით ნაკლებ ნაყოფიერი და სასარგებლო იყო მათი საქმიანობა საიერიშო ოპერაციებში, განსაკუთრებით ბურთის გადაცემისას.

თავდასხმაში პირველ ყოვლისა აღსანიშნავია დათუნაშვილი, რომელმაც მარცხენა ფრთაზე ღირსეულად შესცვალა მესხი. იგი თამამად ებმოდა ბრძოლაში და ხშირად ქმნიდა სახიფათო მომენტებს კართან, სადაც, როგორც ყოველთვის, მხოლოდ კალოევი პოულობდა შესაფერის დროსა და ადგილს შეტევის შედეგიანად დამთავრებისათვის. სწორედ კალოევმა გაიტანა ორივე გოლი ზეინკლიშვილისა და დათუნაშვილის გადაცემებიდან.

ნაყოფიერად ითამაშა შუა მინდორში ზეინკლიშვილმა, მაგრამ კარის სიახლოვეს იგი ზედმეტ ნაჩქარეობას და არაზუსტობას იჩენდა, რის გამოც ვერ გამოიყენა რამდენიმე მეტად ხელსაყრელი მომენტი.

კვლავ სუსტად ჩაატარეს მატჩი იამანიძემ და მელაშვილმა, თუ იამანიძე პირველ ტაიმში მაინც თამაშობდა დამაკმაყოფილებლად, მელაშვილი მთელი 90 წუთის განმავლობაში პასიურობდა, გაურბოდა ბრძოლას და სისტემატურად კარგავდა ბურთებს. ორივე ამ ფეხბურთელის ფორმაში შესვლას ერთობ „მარათონული“ ხასიათი მიეცა,

ანგარიში 2:0 თბილისის „დინამოს“ დამსახურებული გამარჯვებაა.

ბ. ჟორჟია

* * *

სურათზე: თბილისელთა მეკარე ხ. კოტრიკაძე იღებს მაღალ ბურთს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

თბილისი. „ბურევესტნიკის“ სტადიონი. 14 მაისი.

„დინამო“ (თბილისი)-„ასტონ ვილა“ (ინგლისი, ქ. ბირმინჰამი) — 2:0 (1:0).

„ასტონ ვილა“: საიდებოტომი; ლინი, დაგდეილი, ლი; კროუ, დიკინი; მაკიუენი, ონილი, ტომსონი, მაკმორენი, ბაროუ.

„დინამო“: კოტრიკაძე; ბ. სიჭინავა, თორაძე, ხურცილავა; ბუნდაძე, გ. სიჭინავა; მელაშვილი, ზეინკლიშვილი, კალოევი, იამანიძე, დათუნაშვილი.

მსაჯი ი. გრიგორიევი (ბაქო).

ჭიდაობა

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 16 მაისისათვის

I ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპედო“ მ.	7	6	0	1	11:4	12
„ნეფტიანიკი“ ბ.	7	3	3	1	9:7	9
„ლოკომოტ“. მ.	6	2	4	0	9:7	8
„ავანგარდი“ ხ.	6	3	2	1	7:5	8
„ბ. როტ.	6	3	1	2	13:7	7
„დინამო“ თბ.	6	3	0	3	7:7	6
„დმირალტ“. ლ.	6	2	1	3	6:6	5
„ტრუდი“ ვორ.	6	1	3	2	4:5	5
„დაუგავა“ რ.	6	1	2	3	7:10	4
„მახტაორი“ სტ.	7	0	4	3	4:10	4
„სპარტაკი“ ვ.	6	0	2	4	4:12	2

II ჯგუფი

„დინამო“ კ.	6	5	0	1	17:6	10
ცხა	7	4	1	2	18:13	9
„სპარტაკი“ მ.	5	3	2	0	11:4	8
„აირატი“ ა-ტა	6	3	2	1	7:8	8
„დინამო“ მ.	6	2	2	2	8:9	6
„მახტაკორი“ ტაშ.	6	2	2	2	10:12	6
„სპარტაკი“ ერ.	7	1	4	2	11:13	6
„ზენიტი“ ლ.	7	2	2	3	10:14	6
„ბოლდოვა“ კიშ.	6	2	1	3	13:12	5
„ალევი“ ტ.	6	0	3	3	6.13	3
„ველარუხი“ მნ.	5	0	1	5	4:11	1

* * *

მოსკოვი. 14 მაისი. აქ შედგა ტატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის II ჯგუფის გუნდებს შორის. დედაქალაქს „სპარტაკმა“ მიიღო ქვეჯგუფის ლიდერი — კიევის „დინამო“. მატჩი მოიგო „სპარტაკმა“ ანგარიშით 2:0.

ვილნიუსის „სპარტაკისა“ და ტალინოს „შახტიორის“ შეხვედრა, რომელიც ვილნიუსში შედგა, დამთავრდა ფრედ — 0:0.

ლ ე ლ ო

მე-3 გვ. № 59 (1695)

ტალმა წააგო...

ფოტოეტიუდი გ. თოდრიასი.

ᲡᲞᲝᲠᲢᲡ ᲛᲘᲣᲫᲦᲜᲔᲡ

1960 წლის 12 ოქტომბერმა ერთგვარი გარდატეხა შეიტანა ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტთა ცხოვრებაში. ამ დღეს გამოვიდა სასწავლო გაზეთის „ახალგაზრდა ჟურნალისტის“ პირველი ნომერი, რომელიც მთლიანად მომზადებული იყო სტუდენტების მიერ.

გაზეთის უკანასკნელი, მეცხრე ნომერი მიძღვნილია სპორტისადმი, იგი ასწავლის სტუდენტ-ჟურნალისტებს, თუ როგორი უნდა იყოს სპორტული გაზეთი.

პირველ გვერდზე წარმოდგენილია მოზრდილი ფოტო-ილუსტრაცია: უნივერსიტეტის ფონზე ჩანან სახემოძღიმარი, ცნობილი სპორტსმენი-სტუდენტები, რომლებმაც შორს გაუთქვეს სახელი ქართულ სპორტს.

მეორე გვერდზე მოთავსებულია წერილები „ქართველი ფალავნების გამარჯვება“ (ი. ჩილაშვილი), „აქ იზრდებიან მსროლელები“ (გ. ბუტკოვსკი), წერილების სერია „რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში“ და გ. შარაშიძის „მუხიანიდან რომამდე“, რომელიც მოგვითხრობს ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების წევრის, მძლეოსან რ. ქოჩაკიძის მიერ განვლილი სპორტული გზის შესახებ. ამ გვერდზე მოთავსებულია აგრეთვე უნივერსიტეტის მოფარიკავეთა წვრთნის ამსახველი სურათი.

მესამე გვერდი იწყება რუბრიკით „დადგა საფეხბურთო გაზაფხული“. აქვეა ჩვენი დინამოელთა ერთ-ერთი შეხვედრის მომენტის ფოტოილუსტრაცია. რუბრიკის ქვეშ მოთავსებულია ს. გოგოლაშვილის ოქმორისტული წერილი „ჩვენი ჯგუფის გულშემატკივრები“, ჯ. თითმერიას „ბრძოლა დაიწყო“ და ცნობები სპორტული არქივიდან „მოგაგონებთ“. სარდაფი დაკავებულია ფელეტონი-ფოტოსურათებით „ბამოღმით მე ვარ, გაღმით შენ“... იგი აკრიტიკებს 26 კომისრის სახელობის ქარხნის სპორტული დარბაზის მდგომარეობას. ფელეტონის ავტორია რ. ბასილაშვილი. ამავე გვერდზეა ბ. ბერიაშვილის ნარკვევი „ჩემპიონი უნივერსიტეტიდან“, რომელიც ოლიმპიური თამაშების პრიზიორს — ე. რუბაშვილს ეხება.

განსაკუთრებით მრავალფეროვანია მეოთხე გვერდი. მარცხნივ, ველოსიპედელის ყ. ზანდუკელის სურათია—„ფინიშთან“, მარჯვნივ—მ. მაისურაძის „ზამთრის სპორტი ფეხს იკიდებს“, სარდაფში—ნ. გურაშვილის „მთასთან მებრძოლი“.

გაზეთი მომზადებულია მეოთხე კურსის სტუდენტების: რ. ბასილაშვილის, ვ. ცეცხლაძის, ე. საღინაძის და ზ. წუწუნავას მიერ.

გაზეთი კარგადაა გაფორმებული და მოწონებას იმსახურებს.

ჯ. მჭედლიშვილი,

ჟურნალისტიკის განყოფილების II კურსის სტუდენტი.



ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲥᲐᲠᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲐ

ᲡᲐᲛᲘ ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲓᲔᲜᲢᲘ

ეროვნულ ნაკრებში, თუმცა არც თუ ისე დიდი ხნის წინათ არგენტინის სახელს იცავდა სამხრეთ ამერიკის უკანასკნელ ჩემპიონატში.

იტალიის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ გაიმართება ტრადიციული შეხვედრა იტალიისა და საფრანგეთის პირველობაზე გამარჯვებულ 4-4 გუნდსა და აგრეთვე მეორე ლიგაში გამარჯვებულ გუნდებს შორის. ეს შეხვედრები უკვე ორჯერ დამთავრდა იტალიელთა გამარჯვებით.

იტალიის 1960-61 წლების საფეხბურთო ჩემპიონატის დასაწყისი ნაკლებ საინტერესო გამოდგა. მილანის „ინტერნაციონალემ“ პირველ წრეში იმდენად გაუსწრო დანარჩენებს, რომ ჩემპიონობის საკითხი ბევრს გადაწყვეტილად მიაჩნდა, მაგრამ დაიწყო მეორე წრე და „ინტერს“ ქულათა დიდი მარაგიდან აღარაფერი დარჩა: ლიდერმა ზედიზედ წააგო 4 მატჩი!

ვინ შეცვალა „ინტერნაციონალე“ ლიდერის პოსტზე? ესაა შარშანდელი ჩემპიონი, ტურინის „იუვენტუსი“. პირველი წრის შემდეგ გუნდი „სულს ღაფავდა“, ვინაიდან „ვარსკვლავებს“ თამაშის ხალისი არა ჰქონდათ. შემდგომში გუნდი ჩაიბარა ცნობილმა შვედმა ფეხბურთელმა ჰ. გნერამ. და „იუვენტუსმა“ ზედიზედ მოიპოვა მნიშვნელოვანი გამარჯვებები. მალე „იუვენტუსმა“ 4 ქულით გაუსწრო „ინტერნაციონალეს“ და სხვაობის გაზრდა კიდევ შეიძლებოდა, ვინაიდან გუნდები ერთმანეთს შეხვდნენ ტურინში. აქ ბათამაშდა დიდი სკანდალი. მსაჯის გადაწყვეტილებას ტურინელი გულშემატკივრები არ დაეთანხმნენ, გადაცვივდნენ მინდორზე. მატჩი შეწყდა. „იუვენტუსს“ წაგება ჩაეთვალა იტალიის ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო დადგენილებით. ასე შემცირდა სხვაობა 2 ქულამდე. „იუვენტუსის“ შემდეგ მეორე ადგილზეა „მილანი“, რომელიც ლიდერს მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება.

ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობამ თავისებური დასკვნა გამოიტანა „იუვენტუსის“ წარმატებიდან. მისი თავდასხმის ლიდერი ო. სივორი, რომელიც ამას წინათ იტალიის მოქალაქე გახდა, ჩაირიცხა

ამას წინათ თბილისის ს. მ. კიროვის სახ. რაიონის კომკავშირის რაიკომის ინიციატივით მოეწყო მოტოგადარბენა თბილისი-ერევანი-ბაქო-თბილისი.

სურათზე: მოტომოლაშქრენი სტარტის წინ.

ფოტო ე. სუსუნიკაშვილისა.

უსიტყვოდ...

ნახ. გ. დოლიძისა.



Ნ. ᲝᲖᲔᲠᲝᲕᲘ—ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲐᲑᲡᲝᲚᲣᲢᲣᲠᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ

ბათუმის ჩოგბურთის კორტებზე დამთავრდა ქალაქის ღია პირველობა ჩოგბურთში, სადაც მონაწილეობდნენ სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. ოზეროვი, სსრ კავშირის 1958 წლის ჩემპიონი ქალთა შორის მ. ემელიანოვა (მოსკოვი) და ესტონელი ლ. კოპი.

ვაჟთა ფინალურ შეხვედრაში ნ. ოზეროვმა დაამარცხა (6:0, 6:2) გ. თოხაძე.

ქალთა შორის ბათუმის ჩემპიონის წოდება მოიპოვა მ. ემელიანოვამ. ვაჟთა წყვილებში პირველ ადგილზე გამოვიდა — ნ. ოზეროვი-ნ. ჟორდანიას წყვილი, ხოლო ქალთა შორის — მ. ემელიანოვა-ნ. ანტიპინა.

შერეულ წყვილთა შორის ბათუმის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს ლ. კოპმა და ნ. ოზეროვმა, რომლებმაც ფინალში დაამარცხეს მ. ემელიანოვა და გ. თოხაძე.

ი. კუსიდი



ᲗᲔᲝᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲐ

საუკეთესო ფეხბურთელები თურმე ყოველთვის კარგად როდი ერკვევიან ფეხბურთის თეორიაში.

აი, მაგალითად, განთქმული ინგლისელი მცველი ბილ რაიტი, რომელსაც 100-ზე მეტჯერ აქვს ნათამაშები თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში. იგი მრავალი წლის განმავლობაში ყოველ კვირას თამაშობდა საფეხბურთო ტოტალიზატორში და მხოლოდ ერთხელ მოიგო და ისიც მეოთხე პრემია — 40 შილინგი.

ᲜᲔᲙᲠᲝᲚᲝᲒᲘ

Ე. Ი. ᲜᲔᲤᲐᲠᲘᲫᲔ

სპორტის მუშაკთა რიგებს გამოაკლდა თბილისის ლენინის რაიონის განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტული სკოლის დირექტორი ერემია იაგორის-ძე ნეფარიძე.

ე. ი. ნეფარიძე დაიბადა 1911 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ სხვავაში. 1939 წელს დამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტი, რის შემდეგაც 22 წლის მანძილზე მუშაობდა ლენინის რაიონის განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტულ სკოლის დირექტორად.

ე. ი. ნეფარიძის ნათელი სახე წარუშლელი იქნება მისი მეგობრებისა და ამხანაგების ხსოვნაში.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ.

რედაქტორი Ი. ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐ.

17 — 21 ᲛᲐᲘᲡᲘ

Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮ. ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲤᲐᲠᲘᲙᲐᲝᲑᲐᲨᲘ



დასაწყისი დილის 10 საათზე, საღამოს 17 საათზე.

თბილისის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირი იუწყება ლენინის სახ. რაიონის ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორის

ერემია იაგორის-ძე ნეფარიძის გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის, თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 8-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 8-90-34, გამომშვების — 8-01-06.

3 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05538